სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფინანსური აქტივობების მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში

18 იანვარი, 2019

შინაარსი

I. ზოგადი ინფორმაცია 3

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები 4

1. ჯამური შემოსავლები 4
2. ჯამური ხარჯები 5
3. მეორე ტურის შემოსავლები და ხარჯები 6

III. შემოწირულებების შესწავლა 7

IV. თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნილი საქმეები 7

V. სხვა საკითხები 11

I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული ხარჯებისა და შემოსავლების, შემოსული საჩივრებისა და მონიტორინგის მიმდინარე შედეგების შესახებ.

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 25-მა სუბიექტმა (19 პარტია და 6 დამოუკიდებელი კანდიდატი), რომლებსაც სამსახურის მოთხოვნით დაუწესდა ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- ივლისის თვის ანგარიში
- ანგარიში 1 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით
- 22 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით
- 12 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით
- 3 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით
- 17 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით
- პირველ ტურში მონაწილე იმ სუბიექტების ანგარიშები, ვინც:
  - გადალახა შესაბამისი ზღვარი და არ მონაწილეობდა მეორე ტურში (15 ნოემბრამდე)
  - ვერ გადალახა ზღვარი და არ მონაწილეობდა მეორე ტურში (14 დეკემბრამდე)
- მეორე ტურის ანგარიშები:
  - 29 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით
  - 15 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით
- ჯამური პერიოდის საარჩევნო ანგარიშები:
  - 01 აგვისტოდან 14 ნოემბრის ჩათვლით (14 დეკემბრამდე)
  - 01 აგვისტოდან 14 დეკემბრის ჩათვლით (14 იანვრამდე)

სამსახურმა შეიმუშავა მოქმედი რეგულაციებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის შემცველი განცხადება და ინფორმაციის წარმოდგენის დროს შესავსები წერილის ნიმუშები. აღნიშნული განცხადება გამოქვეყნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე, მედიასაშუალებებში და გაეგზავნა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვებგვერდზე განსათავსებლად.

ამასთანავე, სამსახურმა ყველა საარჩევნო სუბიექტს, საკონსულტაციო მიზნით, გაუგზავნა ძირითადი საკანონმდებლო მოთხოვნების შემცველი წერილები, ასევე გავრცელდა ამავე საკითხებზე მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლი.

სამსახურის მოწვევით, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებში 14 წევრისა და 4 დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა. კომისიამ განიხილა დეკლარაციების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, მიღებული საჩივრებისა და შემოწირულებების შესწავლის სტატუსები და სხვა.

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

1. ჯამური შემოსავლები

საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო აქვთ: შემოწირულებები და საბიუჯეტო დაფინანსება. ამასთანავე, კვალიფიციურ სუბიექტებს გააჩნიათ მიზნობრივი საარჩევნო დაფინანსება (არჩევნებში მონაწილეობდა საბიუჯეტო დაფინანსების მქონე 19 კვალიფიციური სუბიექტიდან 16 სუბიექტი), რომელიც განკუთვნილია საარჩევნო უბანსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენლების მონაწილეობის ხარჯის და საარჩევნო რეკლამის დაფინანსების მიზნებისთვის.

ჯამში, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 1 აგვისტოდან 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში[1] მიღებულია 25,397,818 ლარის შემოსავალი, საიდანაც 60%-ს შემოწირულებები შეადგენს.

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	მიზნობრივი დაფინანსება	შემოწირულების ჯამი	ჯამური შემოსავალი[2]
1	სალომე ზურაბიშვილი	-	-	12,868,807	13,868,807[3]
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა*	413,220	804,985	1,790,513	3,089,824
3	ევროპული საქართველო	259,032	423,535	615,018	1,297,585
4	თავისუფალი დემოკრატები	128,049	423,535	35,490	587,074
5	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	150,000	423,535	286,500	860,035
6	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	60,405	402,492	670	463,567
7	ახალი საქართველო*	48,879	402,492	47,000	498,471
8	თავისუფალი საქართველო	21,756	388,464	34,896	445,116
9	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*	94,713	409,506	12,750	516,969
10	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	21,756	388,464	-	411,120
11	თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა	21,756	388,464	-	410,220
12	ძალოვან ვეტერ. და პატრიოტთა პოლიტ. მოძრაობა	21,756	388,464	-	410,220
13	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*	94,713	409,506	-	504,219
14	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის*	48,879	402,492	400	451,771
15	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	118,203	423,535	3,000	544,738
16	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	126,795	423,535	14,000	564,330
17	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	21,756	388,464	-	410,220
18	თეიმურაზ შაშიაშვილი	-	-	20,556	20,556
19	ბესარიონ თედიაშვილი	-	-	16,000	16,000
20	ახალი პოლიტიკური ცენტრი - "გირჩი"	-	-	24,686	24,686
21	გიორგი ანდრიაძე	-	-	1,520	1,520
22	ვლადიმერ ნონიკაშვილი	-	-	570	570
23	კახაბერ ჭიჭინაძე	-	-	200	200
24	პარტია საქართველო	-	-	-	-
25	სამართ. აღდ. კავშ. ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე	-	-	-	-
	სულ ჯამი	1,651,668	6,891,468	15,772,576	25,397,818

* ხუთი კვალიფიციური სუბიექტი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია და მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის შედიან გაერთიანებაში „ძალა ერთობაშია“.

[1] აქედან ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, გარდა დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა, ჯამური შემოსავლები წარმოადგენს პირველი ტურის შემოსავლებს.

[2] სალომე ზურაბიშვილის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს შემოსავლებში არ შედის საარჩევნო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, არჩევნების შემდგომ, ბიუჯეტიდან ჩარიცხული 1,000,000 ლარი. აღნიშნული თანხა გაიცა იმ სუბიექტებზე რომელთაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10%-ზე მეტის მოიპოვეს.

[3] დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის ჯამურ შემოსავლებში შედის 1,000,000 ლარის ოდენობის საბანკო კრედიტი.

2. ჯამური ხარჯები

ჯამში, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 1 აგვისტოდან 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში[4] დახარჯულია 24,711,584 ლარი, რაც ძირითადად ნაწილდება სატელევიზიო რეკლამებსა და შრომის ანაზღაურებაზე, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	სატელევიზიო რაკლამა	სხვა რეკლამა	შრომის ანაზღაურება	ჯამური ხარჯი
1	სალომე ზურაბიშვილი	4,742,451	5,685,995	290,063	13,351,766
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა*	1,693,660	382,640	567,222	3,003,625
3	ევროპული საქართველო	409,396	578,161	322,849	1,371,596
4	თავისუფალი დემოკრატები	-	10,271	484,612	562,244
5	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	277,110	-	538,240	925,022
6	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	-	-	458,512	75,374
7	ახალი საქართველო*	-	1,545	424,287	516,111
8	თავისუფალი საქართველო	-	10,851	390,701	448,183
9	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*	199,651	26,000	434,675	529,130
10	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	-	2,500	410,412	418,418
11	თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა	-	-	384,890	410,220
12	ძალოვან ვეტერ. და პატრიოტთა პოლიტ. მოძრაობა	-	-	394,700	412,977
13	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*	199,181	-	434,517	472,863
14	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის*	-	-	370,543	377,442
15	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	-	7,625	489,410	559,997
16	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	14,427	-	314,085	426,733
17	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	-	-	380,050	404,018
18	თეიმურაზ შაშიაშვილი	-	19,979	-	20,489
19	ბესარიონ თედიაშვილი	-	13,575	-	14,393
20	ახალი პოლიტიკური ცენტრი - "გირჩი"	-	-	-	8,734
21	გიორგი ანდრიაძე	-	1,165	-	1,516
22	ვლადიმერ ნონიკაშვილი	-	317	-	533
23	კახაბერ ჭიჭინაძე	-	-	-	200
24	პარტია საქართველო	-	-	-	-
25	სამართ. აღ. კავშ. ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე	-	-	-	-
	სულ ჯამი	**7,535,876**	**6,740,624**	**7,089,768**	**24,711,584**

* ხუთი კვალიფიციური სუბიექტი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია და მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის შედიან გაერთიანებაში „ძალა ერთობაშია“.

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული ხარჯების გადამოწმების მიზნით, აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს ხარჯების შედარებას სუბიექტების საბანკო გადარიცხვებთან და მედია მონიტორინგის შედეგებთან.

სალომე ზურაბიშვილის ხარჯები, ლარი



ერთ. ნაციონალური მოძრაობის ხარჯები, ლარი



[4] აქედან ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, გარდა დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა, ჯამური ხარჯები წარმოადგენს პირველი ტურის ხარჯებს.

3. მეორე ტურის შემოსავლები და ხარჯები[5]

არჩევნების მეორე ტურში მონაწილე სუბიექტებიდან საბიუჯეტო დაფინანსებას იღებდა მხოლოდ მპგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. აღნიშნული დაფინანსება განკუთვნილი იყო საარჩევნო უბანსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენლების მონაწილეობის ხარჯის და საარჩევნო რეკლამის დაფინანსების მიზნებისთვის.

ჯამში, ორმა საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების მეორე ტურში, 29 ოქტომბრიდან - 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში 9,090,804 ლარის შემოსავალი მიიღეს, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	მიზნობრივი დაფინანსება	შემოწირულ-ებები	ჯამური შემოსავალი[6]
1	სალომე ზურაბიშვილი	-	-	7,472,823	7,472,823
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	165,644	381,450	1,070,634	1,617,981
	სულ ჯამი	**165,288**	**381,450**	**8,543,457**	**9,090,804**

ამასთანავე, მეორე ტურში გადასულმა საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში 8,543,457 ლარი მიიღეს შემოწირულების სახით. აქედან, სალომე ზურაბიშვილმა 87,5% (7,472,823 ლარი) მიიღო, ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ - 12,5% (1,070,634 ლარი).





ჯამში, ორმა საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების მეორე ტურში, 29 ოქტომბრიდან - 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დახარჯეს 8,615,091 ლარი, რაც ძირითადად ნაწილდება სატელევიზიო რეკლამებსა და შრომის ანაზღაურებაზე, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	რეკლამის ხარჯი	სატელევიზიო რეკლამის ხარჯი	შრომის ანაზღაურება	ჯამური ხარჯი
1	სალომე ზურაბიშვილი	2,836,125	2,547,690	196,462	**7,045,108**
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	220,356	1,023,082	227,343	**1,569,983**
	სულ ჯამი	**3,056,481**	**3,570,772**	**423,805**	**8,615,091**

[5] მოიცავს ინფორმაციას არჩევნების პირველი ტურის შემდგომ მეორე ტურისა და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების მდგომარეობით - 29 ოქტომბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით.

[6] შემოსავლებში არ შედის საარჩევნო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, არჩევნების შემდგომ ჩარიცხული 1,000,000 ლარი, რომელიც პოლიტიკურმა სუბიექტებმა მიიღეს არჩევნების პირველ ტურში მონაწილეთა ხმების 10%-ზე მეტის მოპოვების გამო.

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული ხარჯების გადამოწმების მიზნით, აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს ხარჯების შედარებას სუბიექტების საბანკო გადარიცხვებთან და მედია მონიტორინგის შედეგებთან.





III. შემოწირულებების შესწავლა

ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული შემოწირულებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილია ინფორმაცია 879 ფიზიკურ პირზე. შემოსავლების დასაბუთების მიზნით გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის მოწვეულ იქნა 36, თუმცა გამოიკითხა 15 პირი. მოწვეული ფიზიკური პირების დიდი ნაწილის იურიდიული მისამართი (რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის ბაზებში) განსხვავდება ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისგან, რაც ხელს უშლის აუდიტის სამსახურს აღნიშნული პირების იდენტიფიცირებაში და შემოწირულებების შესახებ ინფორმაციის დროულად გადამოწმებაში.

მომდევნო კვირის განმავლობაში დაბარებულია 32 პირი, რომლებმაც შემოწირულება განახორციელეს ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის პერიოდში.

IV. თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნილი საქმეები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საარჩევნო კამპანიის მონიტორინგის დროს გამოვლენილ საკითხებზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გადააგზავნა 14 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. პირველ შუალედურ ანგარიშში მოცემულ 5 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლომ გამოიტანა ჯარიმის დაკისრების გადაწყვეტილება. კერძოდ:

საარჩევნო სუბიექტი	ინფორმაცია	შემოწირულების ოდენობა	ჯარიმის ოდენობა
სალომე ზურაბიშვილი	საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ მეორე ტურის წინ სააგიტაციო ბროშურების დაბეჭდვის ღირებულება. დაჯარიმდა ხარჯის გამწევი პარტია	15,295 ლარი	30,590 ლარი

ნაციონალური მოძრაობა	ფ/პ ლაშა ცუცქირიძე დაჯარიმდა, ხოლო პარტიას დაეკისრა თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება	10,000 ლარი	20,000 ლარი
ევროპული საქართველო	ფ/პ ნიკოლოზ დალაქიშვილი დაჯარიმდა, ხოლო პარტიას დაეკისრა თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება	2,000 ლარი	4,000 ლარი
თავისუფალი საქართველო	ინფორმაციის წარმოდგენის წესის დარღვევა		2,000 ლარი
გიორგი ანდრიაძე	ინფორმაციის წარმოდგენის წესის დარღვევა		1,000 ლარი
	სულ ჯამი	**27,295 ლარი**	**57,590 ლარი**

პირველი შუალედური ანგარიშის (26 ნოემბერი) შემდგომ პერიოდში დასრულებული საქმეებიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში მასალები გადაგზავნილია 9 საკითხზე, კერძოდ:

სუბიექტი	**ინფორმაცია**	**შემოწირულების ოდენობა**	**ჯარიმის ოდენობა**
სალომე ზურაბიშვილი	მოძრაობა „მე ვიცავ თავისუფლებას“ მიერ თელავის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის და თბილისის თეატრების ფართის დაქირავება. ოქმი შედგენილია შემოწირულების მიმღების მიმართ	16,400 ლარი	32,800 ლარი
სალომე ზურაბიშვილი	მოძრაობა „არა ნაციზმს“ მიერ რეგიონებში ხალხის ტრანსპორტირების ხარჯი. ოქმი შედგენილია შემოწირულების მიმღების მიმართ	9,200 ლარი	18,400 ლარი
სალომე ზურაბიშვილი	მოძრაობა „არა ნაციზმს“ მიერ თბილისში, რუსთაველის გამზ. N34-ში ნაქირავები ოფისის ხარჯი. ოქმი შედგენილია შემოწირულების მიმღების მიმართ	3,000$ (8,160 ლარი)	16,320 ლარი
ქართული ოცნება	„ქართული ოცნების“ FACEBOOK გვერდზე საარჩევნო სააგიტაციო პოსტების დაფინანსების ხარჯი. ოქმი შედგენილია „ქართული ოცნების“ მიმართ	99,585 ლარი	199,170 ლარი
ნაციონალური მოძრაობა	შპს „ავტოჰაუსი - რუსთავი 2011“-ის მიერ განხორციელებული შემოწირულება. ოქმი შედგენილია კომპანიის მიმართ, ხოლო პარტიას უნდა დაეკისროს მიღებული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება	30,000 ლარი	60,000 ლარი
ნაციონალური მოძრაობა	„ქრისტიან-კონსერვატორული პარტიის“ მიერ თელავსა და გორში ნაქირავები 2 ოფისის გამოყენება. ოქმი შედგენილია შემოწირულების მიმღების მიმართ	6,720 ლარი	13,440 ლარი
ევროპული საქართველო	„მოძრაობა თავისუფალი საქართველოს“ მიერ ნაქირავები 17 ოფისის გამოყენება „ევროპული საქართველოს“ მიერ. ოქმი შედგენილია შემოწირულების მიმღების მიმართ	51,737 ლარი	103,474 ლარი
ევროპული საქართველო	ფ/პ ნათია მილდიანი. ოქმი შედგენილია შემოწირულების განმახორციელებლის მიმართ, ხოლო პარტიას უნდა დაეკისროს მიღებული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვა	10,000 ლარი	20,000 ლარი

სახელმწიფო ხალხისთვის	ჯამური დეკლარაციის წარმოუდგენლობა		2,000 ლარი
	სულ ჯამი	**231,802 ლარი**	**465,604 ლარი**

საჩივრების შედეგად შედგენილია 5 ოქმი:

1. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** საჩივრის საფუძველზე, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ სააგიტაციო ბროშურების ბეჭდვის შესახებ. დაბეჭდილი ბროშურების ღირებულება 15,295 ლარის ოდენობით აუდიტის სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ განხორციელებულ აკრძალულ შემოწირულებად.

2. **„სამართლიანი არჩევნების“** საჩივარი მოძრაობა „არა ნაციზმის“ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მოძრაობის ხელმძღვანელის, ნანა კაკაბაძის და სხვა 7 დაკავშირებული პირის გამოკითხვა. აღნიშნული აქტივობების ორგანიზებისთვის დაქირავებული ოფისის ხარჯი 8,160 ლარის ოდენობით ჩაითვალა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლო შემოწირულებად, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

3. **„სამართლიანი არჩევნების“** საჩივრისა და **მედიით გავრცელებული** ინფორმაციის საფუძველზე, შესწავლილია მოძრაობა „არა ნაციზმის“ მიერ ამომრჩევლების ტრანსპორტირების საკითხი. აღნიშნული მიზნით განხორციელდა მოძრაობის ხელმძღვანელის, ნანა კაკაბაძის გამოკითხვა და ტრანსპორტირების ხარჯის წარმომავლობისა და ოდენობის იდენტიფიცირება, რამაც ჯამში 9,200 ლარი შეადგინა. ხარჯი სრული ოდენობით ჩაითვალა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლო შემოწირულებად.

4. **„სამართლიანი არჩევნების“** საჩივარი მოძრაობა „მე ვიცავ თავისუფლებას“ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ - გაიგზავნა მიმართვა ორგანიზაციის მისამართზე, ხოლო წარმომადგენლის გამოკითხვაზე გამოუცხადებლობის გამო აუდიტის სამსახურმა გამოითხოვა ინფორმაცია მედიით გავრცელებული შეხვედრების ადგილებიდან. საქართველოს მასშტაბით განთავსებული 5 თეატრიდან მიღებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერი ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა 16,400 ლარი, რაც ჩაითვალა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლო შემოწირულებად.

5. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა** და **„სამართლიანი არჩევნების“** საჩივრების საფუძველზე შესწავლილ იქნა „ქართული ოცნების“ FACEBOOK გვერდზე განთავსებული საარჩევნო სააგიტაციო პოსტების დაფინანსების ხარჯი. პარტიის დეკლარაციის შესაბამისად, ფეისბუქ მომსახურების ხარჯი შეადგენს 99,585 ლარს, რომელიც ჩაითვალა საარჩევნო ხარჯად სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.

სასამართლოში დამატებით გაგზავნილია 9 საქმე:

სამსახურმა 11-19 ოქტომბრის პერიოდში განახორციელა მონიტორინგი საქართველოს 30 ქალაქში. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის დაფინანსებული ოფისების სხვა კანდიდატის მიერ გამოყენების ფაქტები. აღნიშნულ ფაქტებზე შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2 ოქმი, კერძოდ:

1. მპგ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის“ მიერ ნაქირავები 2 ოფისის მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოყენების შესახებ, რაზეც დახარჯულია 6,750 ლარი.
2. მპგ „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ მიერ ნაქირავები 17 ოფისის მპგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ გამოყენების საკითხზე, რაზეც დახარჯულია 51,737 ლარი.

ამასთან ერთად, საანგარიშგებო პერიოდში ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან/და არასწორად წარმოდგენის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია 3 საარჩევნო სუბიექტის მიმართ:

3. მპგ „თავისუფალი საქართველო“ - ნაღდი ფულის ანგარისწორების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა, რაზეც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს ჯარიმას 2,000 ლარის ოდენობით.
4. დამოუკიდებელი კანდიდატი გიორგი ანდრიაძის მიმართ, შემოწირულებების მიღების წესისა და თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის წესის დარღვევა, რაზეც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს ჯარიმას 1,000 ლარის ოდენობით.
5. მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის - ჯამური საარჩევნო დეკლარაციის წარმოუდგენლობა, რაზეც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს ჯარიმას 2,000 ლარის ოდენობით.

პირველი ორი სარჩელის შემთხვევაში (მპგ „თავისუფალი საქართველო“ და დამოუკიდებელი კანდიდატი გიორგი ანდრიაძე) სასამართლოს გადაწყვეტილებით, საარჩევნო სუბიექტებს დაეკისრათ კანონით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდა, ხოლო მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სასამართლო განხილვის პროცესშია.

მოცემული ანგარიშის გამოქვეყნების დღისთვის აუდიტის სამსახურმა სამ შემთხვევაში განხორციელებული შემოწირულება მიიჩნია აკრძალულ შემოწირულებად, რადგან თანხის წარმომავლობა ვერ იქნა დასაბუთებული:

6. ლაშა ცუცქირიძე - 10.10.2018 წელს განახორციელა 10,000 ლარის შემოწირულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ.
7. ნიკოლოზ დალაქიშვილი - 24.09.2018 წელს განახორციელა 2,000 ლარის შემოწირულება „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ.
8. ნათია მილდიანი - 17.09.2018 წელს განახორციელა 10,000 ლარის შემოწირულება „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ.

პირველ ორ შემთხვევაში (ლაშა ცუცქირიძე და ნიკოლოზ დალაქიშვილი) სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწვეტილება დაჯარიმების შესახებ. მესამე ფიზიკური პირის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ამასთანავე, აუდიტის სამსახურმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა იურიდიული პირის მიმართ, რომლის 50% წილის მფლობელი რეგისტრირებული არ არის საქართველოში და კომპანიისთვის მიცემულ ვადაში ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია შემოწირულების განხორციელების თარიღისთვის საბოლოო ბენეფიციარის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ:

9. შპს „ავტოჰაუს - რუსთავი 2011“-ის მიერ 10.09.2018 წელს განხორციელდა 30,000 ლარის შემოწირულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ.

V. სხვა საკითხები

მიღებული საჩივრებისა და მოძიებული ინფორმაციების საფუძველზე დასრულებულია წარმოება 9 საქმეზე, ხოლო მიმდინარეობს 2 საკითხის შესწავლა, კერძოდ:

1. **„სამართლიანი არჩევნების“** საჩივარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო და დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლო კამპანიის წარმოების შესახებ, რომელიც მოიცავდა ბილბორდებს - „არა ნაციზმს - არა ძალადობას“ - საჯაროდ გაცხადებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკითხა ბილბორდების დამკვეთი, რომელმაც წარმოადგინა აღნიშნული დაკვეთის შესაბამისი დოკუმენტაცია. ამასთანავე, ბილბორდების ხარჯი დეკლარირებულ იქნა კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდის არაფულად შემოწირულებად.

2. **მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** საჩივარზე რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში აგვისტოს თვეში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

3. **„სამართლიანი არჩევნების“** საჩივრის შესაბამისად საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლების მიერ გელათობის დღესასწაულზე თანხის დარიგების ფაქტზე.

4. მედია საშუალებებით არჩევნების დღეს **საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს** მიერ გავრცელებული სავარაუდო მოსყიდვის ფაქტების შესახებ.

5. **საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს** მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დაფინანსებული საარჩევნო კვლევის შესახებ.

6. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** ინფორმაცია მპგ „ქართული ოცნების“ ამბროლაურის შტაბის მიერ ფინანსური რესურსების გამოყენების შესაძლო დარღვევის შესახებ.

7. **„სამართლიანი არჩევნებისა“** და **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** მიერ სატელევიზიო რეკლამის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე.[7]

8. **მედიით გავრცელებული** ინფორმაციის საფუძველზე ფოთის მერიის მიერ მეორადი ტანსაცმელების დარიგების შესახებ.

9. **მედიით გავრცელებული** ინფორმაციის საფუძველზე „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლების მიერ ქუთაისში შეშის დაჭრისა და მოსახლეობისთვის დარიგების ფაქტის შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობის ან/და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატით განსაზღვრული საკითხების დარღვევის არ არსებობის გამო შეწყვეტილ იქნა ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

[7] სატელევიზიო რეკლამების საკითხებზე შემოსულ საჩივრებსა და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს განცხადებაში საუბარი არის 8 პოლიტიკურ პარტიაზე, რომლებიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან/და საწინააღმდეგოდ იყენებდნენ საეთერო დროს. იხ. განცხადებები http://goo.gl/5qpb29 და https://goo.gl/WJk6xw აუდიტის სამსახურმა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიიდან საეთერო დროის განაწილებისა და ფასების შესახებ. კომისიის მიერ გაკეთებული შეფასებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საკითხი არ იქნა მიჩნეული აუდიტის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარღვევად.